

ლადო პაპავას ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობა

ჟურნალი “გზა” – № 42, 17 ოქტომბერი, 2013.

ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ექსპერტია. ეღუარდ შევარდნაძის მთავრობაშიც საკმაოდ დიდხანს მუშაობდა. მერე პარლამენტში გადაინაცვლა. ამჟამად კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი რექტორი გახლავთ. როგორც თვითონ ამბობს, სტუდენტებთან ურთიერთობა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და მათთვის ლექციებსაც მალე წაიკითხავს. მანამდე კი, ჩვენი რუბრიკის სტუმარი, საკმაოდ საინტერესო რესპონდენტი აკადემიკოსი ლადო პაპავა გახლავთ.

– ბატონო ლადო, როგორ დაიწყეთ ახალი სასწავლო წელი და როგორ მოირგეთ რექტორის თანამდებობა?

– წელი წარმატებით დავიწყეთ, თუმცა სირთულები იყო. მაგალითად, სტუდენტებმა მათ აკადემიურ რეგისტრაციასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვეს. ამის აღმოსაფხვრელად გარკვეული ზომები მივიღეთ. თუ სადმე გარკვეული ხარვეზი იქნება, აუცილებლად მოგვარებთ. რაც შეეხება რექტორობას, ჩემი სამუშაო გრაფიკი საკმაოდ გადატვირთულია: უნივერსიტეტის თანამშრომლებს, ყოფილ თანამშრომლებს, სტუდენტებს სურთ ჩემთან შეხვედრა. მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ყველას შევხვდე, თუმცა ეს ხანდახან ფიზიკურად შეუძლებელია. გარდა ამისა, მიმდინარე და სტრატეგიული საკითხებიც გადასაწყვეტია და ამ ყველაფერზე მიხდება მუშაობა. მაგალითად, რამდენიმე ფაკულტეტმა წარმოადგინა სია იმ ლიგერატურისა, რომლებიც სახელმძღვანელოების სახით უნდა ითარგმნოს. გარკვეული სახელმძღვანელოები კი დასაწერია. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებსაც შევხვდი, რომლებმაც მითხრეს რომ საკმარისი სახელმძღვანელოები არ აქვთ. მათ ვთხოვე, რომ სტუდენტებს გაესაუბრონ და გაარკვიონ თუ რომელ სახელმძღვანელოზეა უფრო მეტი მოთხოვნა, რათა ეს პრობლემა ეგაპობრივად მოვუგვაროთ. ასევე, ვმუშაობთ პოსტოქტორანტურის დებულებაზე. საკონკურსო დებულება უფრო უნდა გავმართოთ, რათა აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველებს კონკურსში მონაწილეობისას ნაკლები პრობლემები შეექმნათ. კონკურსანტები აბსოლუტურად დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მათი ინტერესები დაცულია. მოკლედ, სხვადასხვა მიმართულებით ვმუშაობთ. ფაკულტეტებს ასევე, სამეცნიერო ჟურნალების შექმნა ვთხოვეთ. გვაქვს გარკვეული მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ფაკულტეტს, რომელსაც ასეთი ჟურნალი არ აქვს, როგორ შეიქმნას ის მინიმალური დანახარჯით. შესაძლოა, ეს თავიდანვე არ იყოს ბეჭდური და იყოს ელექტრონული,

მაგრამ ამის გაკეთება შესაძლებელია... მოკლედ, სამუშაოდ მხოლოდ ერთი კონკრეტული მიმართულება არ გვაქვს აღებული, რადგან უნივერსიტეტი მრავალპროფილური დაწესებულებაა. პირველ რიგში, აქცენტი წიგნების ციფრულ ფორმატში გადაყვანაზე უნდა გავაკეთოთ, რათა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. ეს ერთჯერადი ხარჯია, სამაგიეროდ, მრავალჯერადი, თავისუფალი გამოყენება ექნება.

– გამოდს, რომ წიგნების პრობლემა თქვენი წინამორბედებისთვისაც აქტუალური იყო, მაგრამ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

– არ მინდა წინამორბედებზე რაიმე აუცი ვთქვა. ეს ჩემი ფუნქცია ნამდვილად არ არის. არცერთი სამსახური არ დამიწვია წინამორბედების შეცდომებზე საუბრით. ამჟამად წიგნების პრობლემა არსებობს და შესაძლებელია, ეს საკმაოდ დიდი ხნის პრობლემაცაა. ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ სტუდენტთა მოთხოვნა, რადგან ისინი აქ სასწავლებლად მოვიდნენ და არ შეიძლება, რომ მათ სწავლაში ხელი ეშლებოდეთ.

– წიგნის მოთხოვნა ლოგიკურია, მაგრამ ბოლო პერიოდში სტუდენტებს ბევრი მოთხოვნა გაუჩნდათ. ხშირად მართავენ საპროტესტო აქციებს...

– ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. გაცილებით ცუდია, როცა ისინი პასიურები არიან და არაფერი აინტერესებთ. ახალგაზრდობა ის პერიოდია, როცა ახალგაზრდას ყველაზე მეტად უნდა ჰქონდეს პროტესტის გამოხატვის სურვილი. პროტესტის გრძნობა ყოველთვის ყველას გვაქვს, მაგრამ გამოხატვის სურვილი სხვადასხვა ასაკში სხვადასხვანაირია. სტუდენტებს თუ პროტესტის გამოხატვის სურვილი აქვთ, ეს მისაღებია. ცუდი იქნება, თუ მასში რაღაც უზრდელობის ელემენტები იჭრება. თუმცა უზრდელობის ელემენტები არამხოლოდ პროტესტის გამოხატვაშია და არა მხოლოდ – სტუდენტებში. დღევანდელი ქართული სამოგადოება მრდილობით, სამწუხაროდ, არ გამოირჩევა.

– რამდენად მართებულად მიგაჩნდათ ის მოთხოვნა, როცა რექტორის არჩევნების დროს ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ და ამბობდნენ, რომ რექტორის არჩევნებში მათაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა?

– ნებისმიერ შემთხვევაში, კანონი სრულად დაცული უნდა იყოს. აგვისტოში ჩატარებული რექტორის არჩევნები ამ მხრივ კანონიერი გახლდათ. მსოფლიოს არაერთ უნივერსიტეტში რექტორს სტუდენტი კი არა, საბჭო ირჩევს. ხშირად, ეს საბჭო მცირერიცხოვანია. საქართველოში გარკვეული უნდობლობა ჩამოყალიბდა და სტუდენტები სწორედ ამიგომ ითხოვდნენ, რომ არჩევნების პროცესში თვითონაც ჩართულიყვნენ. ძალიან კარგია, თუ რექტორს მეტი ლეგიტიმაცია ექნება. აქედან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ახალ კანონზე მუშაობს, სადაც არის მოსაზრება, რომ პროფესორებთან ერთად, არჩევნებში სტუდენტებიც უნდა მონაწილეობდნენ... ხშირად სტუდენტებს

და არა მხოლოდ მათ, პროფესორებსაც კი, ბოლომდე გაცნობიერებული არ აქვთ თავიანთი როლი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ აკადემიური საბჭოს წევრები, რომლებიც რექტორს ირჩევენ, თავის დროზე, ფაკულტეტის საბჭოს მიერ არიან არჩეულნი. ფაკულტეტის საბჭოს წევრები კი, პროფესორებთან ერთად, სტუდენტებიც არიან. ასე რომ, მათ თუ აირჩიეს ისეთი აკადემიური საბჭოს წევრი, რომელსაც ნდობას არ უცხადებენ, ეს მათი ბრალია. შესაძლოა, ბევრს არც კი ჰქონდა გაცნობიერებული, რომ აკადემიური საბჭოს ესა თუ ის წევრი რაღაც მომენტში იქნებოდა რექტორის ამომრჩეველი... ამის მიუხედავად, სტუდენტების პროტესტი ცუდი ნამდვილად არ არის. ცუდი ის არის, რომ გადიოდა წლები და სტუდენტი გვყავდა თუ არა, არც ვიცოდით. დრამატულად მახსენდება ის პერიოდი, როცა ათასწლეულის დასრულებისას მაღლივ კორპუსთან შეიკრიბნენ სტუდენტები, დიდი მარშით წამოვიდნენ პირველი კორპუსისკენ, გადაკეტეს ჭავჭავაძის გამზირი ერთადერთი მოთხოვნით, ათასწლეული იცვლება და გამოცდებს ნუ ჩავვაბარებინებთო. ასეთი პროტესტი ნამდვილად მიუღებელია. კიდევ კარგი, რომ დღეს ასეთი სტუდენტები არ გვყავს.

– განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტმა შეიმუშავა ახალი კანონი, რომლის თანახმადაც, განსაკუთრებით ნიჭიერი და საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებული ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ უნდა ჩაირიცხო. თქვენ რა მოსაზრების ბრძანდებით ამ კანონპროექტზე?

– სამწუხაროდ, ამ კანონპროექტს არ ვიცნობ, ამიტომ გამიჭირდება კონკრეტული პასუხის გაცემა. შემიძლია, ჩემი დამოკიდებულება გაგაცნოთ: როცა გამოჩაქისი არსებობს, ეს სხვადასხვა ადამიანებისთვის ყოველთვის გარკვეულ ხერხეს ქმნის. რას ნიშნავს განსაკუთრებულად ნიჭიერი? თუ საერთაშორისო ოლიმპიადაში იმარჯვებს, მას გამოცდის ჩაბარების პრობლემა რატომ უნდა ჰქონდეს? თუმცა, ნიკო ფიროსმანს განათლება საერთოდ არ ჰქონია, მაგრამ უდიდესი ხელოვანი იყო. ამიტომ ხელოვნების სფეროსთან ცოცხალი განსხვავებული მიდგომაა საჭირო. შესაძლოა, ადამიანს შესანიშნავი ხმა ჰქონდეს და პერსპექტივაში, ის კარგი საოპერო მომღერალი უნდა გახდეს, მაგრამ უნარ-ჩვევების გამოცდის საშუალო მაჩვენებელი ვერ გადალახოს. ასეთი ნიჭიერი აბიგურიენცისთვის შეიძლება, რომ გამოცდის მაჩვენებლის ქვედა მღვარი დაწიონ. სულ რომ მოუხსნან ეს გამოცდა, ამის წინააღმდეგი ვარ, რადგან 21-ე საუკუნეა და ელემენტარული განათლება ყველას მოეთხოვება. თუმცა, ეს შედავითი მხოლოდ ხელოვნების წარმომადგენლებისთვის უნდა გაკეთდეს და არა მგონია, რომ გამართლებული იყოს ოლიმპიადაში გამარჯვებული ნიჭიერი აბიგურიენცისთვის.

– როცა რექტორად აგირჩიეს, ამბობდით, რომ სტუდენტებთან ხშირი კონტაქტი გექნებოდათ. თქვენი გრაფიკიდან გამომდინარე, რამდენად დიდ დროს უთმობთ მათთან შეხვედრებსა და საუბარს?

– ჩვენი პირველი, სპონგანური შეხვედრა 16 სექტემბერს, სასწავლო წლის პირველ დღეს შედგა. ეს ღირშესანიშნავი დღეა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. თანაც, ჩვენთვის დიდი პატივი იყო,

რომ გვესტუმრა და სასწავლო წლის დაწყება მოგვილოცა უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ, რომელიც უკვე დიდი ხანია, უნივერსიტეტის სტუმარი არ ყოფილა. ასევე, გვესტუმრა საქართველოს განათლების მინისტრი, ქნი თამარ სანიკიძე. ამ საზეიმო ვითარებაში ჩვენ მოვიწვიეთ ყველა პირველკურსელი, რომელთა რიცხვიც დაახლოებით 5 000-ია. წარჩინებულ აბიგურიენტებს, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებში მაღალი ქულები დააგროვეს, საჩუქრები გადაეცათ... ამ პროცესში, სტუდენტთა გარკვეულმა ჯგუფმა, უნივერსიტეტში არსებული პრობლემების გამო, ღიად დააფიქსირა პროტესტი. სტუმრების წასვლის შემდეგ, მათთან დაახლოებით ორსაათიანი შეხვედრა გავმართე. ღვთიერებით, რომ ორ თვეში კიდევ შევხვდებით. გარდა ამისა, სტუდენტურ თვითმმართველობასთანაც მქონდა შეხვედრა. შევთანხმდით, რომ მათ ყოველი სემესტრის დასაწყისში აუცილებელ შეხვედრას დაუნიშნავ, ანუ მარტის პირველ რიცხვებში ჩვენ ისევ შევხვდებით. ეს, სავარაუდოდ, ჩემთვისაც სასარგებლოა და – მათთვისაც, რადგან უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებზე ორივე მხარემ საკუთარი აზრი გამოვთქვათ.

– მართალია, რომ თვითმმართველობას დაფინანსება შეუწყვიტეთ?

– არა. მათი დაფინანსება კანონით განსაზღვრულია. ჩვენ კი კანონს ვიცავთ. 10 წელი ვიყავი აქტიურ პოლიტიკაში და ვიცი რა მნიშვნელობა აქვს, თუნდაც არცთუ კარგი კანონის დაცვას. ამიტომ, ჩვენს კანონს არცერთ შემთხვევაში არ დავარღვევთ. ჩემთან სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელები იყვნენ, რომლებთანაც, სხვა პრობლემებთან ერთად, დაფინანსებაზეც ვისაუბრე. ზოგიერთ საკითხზე ვურჩიე, განესაზღვრათ, ღირდა თუ არა იმაში ფულის დახარჯვა. უბრალოდ, ეჭვი გამოვთქვი, თორემ არ მითქვამს რაიმეზე, რომ არ დაგაფინანსებთ-მეთქი. მათ ზოგიერთი ჩემი წინადადება გაიზიარეს. იმაზეც შევთანხმდით, რომ იმ თანხის გარკვეული ნაწილი, რომელიც მათ გამოეყოფათ, მომავალში გრანტული ხასიათის იყოს, რათა სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფს შეეძლოს, რომ ეს თანხა გრანტის სახით მოიპოვოს. მიხარია, რომ ისინი ამ წინადადებაზე წამოვიდნენ. ასე რომ, დაფინანსების შეწყვეტაზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა.

– ძალზე კანონმორჩილი ადამიანის შთაბეჭდილებას გოვებთ.

– ჩვენ ყველა კანონმორჩილი უნდა ვიყოთ. ადამიანმა შესაძლოა, თავისდაუნებურად კანონი მაინც დაარღვიოს, მაგრამ თუ ამას გამომწულად აკეთებს, ცუდია.

– ბატონო ლადო, როგორც ვიცი, ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე მობილურით გადასვლა საკმაოდ პრობლემატური საკითხია. ბავშვებმა განაცხადში სამი ფაკულტეტი უნდა ჩაწერონ. პირველ ფაკულტეტზე თუ ქულები არ ეყოფათ, მეორე ფაკულტეტზე ქულების ყოფნის შემთხვევაშიც ვერ ხვდებიან, რადგან, როგორც თქვენი ადმინისტრაცია ამბობს, მეორე ფაკულტეტი შემოხაზული უნდა ჰქონოდათ. თუ განაცხადში სამი სასურველი ფაკულტეტი

იწერება, შემოხაზვა რა საჭიროა? სტუდენტები განაცხადის შევსებამდე 40 ლარს იხდიან და სასურველი ფაკულტეტის გარეშე რჩებიან...

– ეს საკითხი, ვფიქრობ, უფრო განათლების და მეცნიერების სამინისტროსთანაა დაკავშირებული, ვიდრე უნივერსიტეტთან. რაც შეეხება შიგასაუნივერსიტეტო პრობლემებს ვცდილობ მაქსიმალურად დავეხმარო სტუდენტებს მათ გადაწყვეტაში, თუმცა ეს, სამწუხაროდ, ყოველთვის არ გამოდის...

– როგორც ვიცი, აქამდეც გქონდათ სტუდენტებთან ურთიერთობა. მათ სხვადასხვა ინსტიტუტში ლექციებს უკითხავდით. ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ რექტორის პარალელურად, ლექტორის იქნებით?

– 2005 წლიდან უნივერსიტეტში ლექციებს აღარ ვკითხულობდი, რადგან გარკვეული პერიოდი, სახელმწიფო სასწავლებლებში “პერსონა ნონ-გრადად” ვიყავი არაოფიციალურად გამოცხადებული, ისევე, როგორც ბევრი სხვა ლექტორი. ამიგომ, არც მიცდია, რომელიმე კონკურში მონაწილეობა. თუმცა საკმაოდ ხშირად, სტუდენტები ჩემთან შეხვედრას ითხოვდნენ და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, პერიოდულად საჯარო ლექციებს ვატარებდი. იმ პერიოდში ნამდვილად კარგი და მოწადინებული ახალგაზრდები დავინახე. ყველა თაობის სტუდენტებში არიან ისეთები, რომლებიც მხოლოდ დიპლომისთვის სწავლობენ და არა – ცოდნის მისაღებად, მაგრამ მათ შორის, გამორჩეულებიც არიან, რომლებიც სასწავლებლის სახეს ქმნიან. ახლა ჩემი გრაფიკის გამო, ლექციებს ვერ ვკითხულობ, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე თვეში წავიკითხო, რადგან ჩემთვის ახალგაზრდებთან სისტემატური ურთიერთობა მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა.

– ბატონო ლალო, რატომ გადაწყვიტეთ, რომ რექტორის არჩევნებში კენჭი გეყარათ?

– მოგეხსენებათ, რომ მეცნიერი და პროფესორი ვახლავართ. ესა თუ ის ხარისხი, წოდება, თუ გიგული სხვაზე ნაკლები არ მაქვს. სტუდენტებთან ურთიერთობა ყოველთვის მსიამოვნებდა და ასევე, კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა ჩემს კოლეგებთან. ყველა ადამიანის ცხოვრებაში არსებობს რაღაც გამოწვევა, რაც გინდა, რომ მიიღო... 90-იანი წლების დასაწყისში, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში კოლექტივმა დირექტორად ამირჩია. მერე 6 წელი ეკონომიკის მინისტრი ვახლდით, ოთხი წელი კი – დეპუტატი. მინდა გითხრათ, რომ არცერთი ის სამსახური იმ დონის სირთულისა არ იყო, როგორც – უნივერსიტეტის რექტორობაა. ეს ჩემი მორიგი ცხოვრებისეული გამოწვევაა. არჩეული ვარ 4 წლის ვადით და მინდა, რომ უნივერსიტეტს სასიკეთო ხელი დავაგყო. ვთვლი, რომ ამის ობიექტური საფუძველი ქვეყანაშიც არსებობს და მეც მეყოფა ენერჯია, რომ დადებითი შედეგი ვაჩვენო. არცერთ ჩემს დანაპირებზე, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში გამოქვეყნებული უნივერსიტეტის განვითარების კონცეფციაში მიწერია, უარს არ ვამბობ, მასზე ვმუშაობ, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რაღაც ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, რომ ყველა ამ შედეგს ვერ მივაღწიო.

– ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ 4 წლის მერე კვლავ პოლიტიკას დაუბრუნდეთ?

– პოლიტიკა ჩემთვის პრიორიტეტული ნამდვილად არ არის. 58 წლის ვარ, თავს მოხუცად არ ვთვლი, მაგრამ პოლიტიკაში დაბრუნებას ნამდვილად არ ვგეგმავ, თუმცა ცხოვრებაში გამორიცხული არაფერია. ახლა სათავეში ისეთ რთულ სფეროს ჩავუღებ, რომელიც ჩემთვის პროფესიულად უფრო საინტერესოა, ვიდრე – პოლიტიკა... პოლიტიკაში ყოფნის მიზანი არასოდეს მქონია. ეს ყველაფერი გარემოებამ მოიგანა. ესლა კი მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, თუ რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის რექტორობა ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი მწვერვალია. ლალო პაპავასათვის ამაზე მნიშვნელოვანი თანამდებობა საქართველოში არ არსებობს...

– არაერთი წიგნის ავტორი ხართ. ახლანდელი გრაფიკის გამო, ახალ წიგნზე მუშაობას ახერხებთ?

– დაახლოებით თვენახევარია, რაც არც არაფერი წამიკითხავს და არც – დამიწერია. თუმცა ორი დასრულებული წიგნი უკვე ამერიკის გამომცემლობაშია, რადგან იქ უნდა გამოიცეს. ერთი ეხება 2010-2012 წლების საქართველოს, რომელსაც ჰქვია „საქართველო არჩევნებიდან არჩევნებამდე“, ხოლო – მეორე, ბევრად სერიოზული წიგნია, ჩემს თანაავტორთან ერთად მაქვს დაწერილი. ის მაკროეკონომიკის საფუძვლებს ეხება.

– ამერიკაში რატომ უნდა გამოიცეს?

– ინგლისურენოვანია. მეცნიერისთვის ყველაზე დიდი მისწრაფებაა, რომ მის მიერ შექმნილ ნაშრომს, რაც შეიძლება მეტი მკითხველი ჰყავდეს.

– ორიოდე სიგყვით, თქვენი ოჯახის შესახებაც მიაბზეთ.

– სამი შვილი მყავს. უფროსი ქალიშვილი 31 წლის არის, რომელმაც საკმაოდ პრესტიჟული სასწავლებელი, „იესუმ თბილისი“ დაამთავრა და აუდიტორულ სფეროში წარმატებული კარიერაც გაიკეთა. მერე ბავშვობის ოცნება გაიხსენა, ფსიქოლოგობა მოინდომა და ახლა ამ განხრით, მაგისტრატურაში სწავლობს, თუმცა არა ჩვენ უნივერსიტეტში. ასე რომ, ჩვენს შორის, ინტეგრისთა კონფლიქტი არ არის. მეორე შვილი ვაჟია და 29 წლის ვახლავთ, ის მარკეტოლოგია და ერთ-ერთ ქართულ, წარმატებულ კომპანიაში მუშაობს. ხოლო მესამე ვაჟი მხოლოდ 10 წლისაა, რომელიც მეხუთე კლასში სწავლობს...

ნათია ჟივიძე